სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ჟურნალისტიკა** Journalism
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**ჟურნალისტიკის ბაკალავრი** Bachelor of Journalism
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	240 კრედიტი (ECTS) **საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS):** • 20 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები • 15 კრედიტი - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი; • 10 კრედიტი - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი; **ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი (ECTS):** • 70 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; • 55 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; **თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS)** **დამატებითი სპეციალობის (minor) ან სხვა თავისუფალი სასწავლო კურსები - 60 კრედიტი (ECTS).**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**მანანა შამილიშვილი,** ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), პროფესორი **მაია ტორაძე,** ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო

[1]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტი სდებულებით

	პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს მისცეს მრავალმხრივი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ჟურნალისტიკის სფეროში, რათა მათ შეძლონ: 1. მედიის სფეროში (სამაუწყებლო, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში) პროფესიული საქმიანობის განხორციელება; 2. კრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ეთიკური მედიის განვითარებასა და სტანდარტების დანეგრვაში წვლილის შეტანა; 3. ჟურნალისტიკისა და მასმედიის სფეროში პროცესებისა და მოვლენების ანალიზი სინქრონიასა და დიაქრონიაში; 4. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• აღწერს და განასხვავებს ტრადიციული და ახალი მედიების ძირითად მახასიათებლებს (მასმედიის სახეები, თეორიები, სტრუქტურა, ენობრივ–სტილისტური მოთხოვნები, კლასიფიკაცია ჟანრების მიხედვით, ისტორიული კონტექსტი); • წარმოაჩენს მედიისა და ჟურნალისტის როლს დემოკრატიული პროცესების განვითარებაში; • მოიპოვებს და ზედმიწევნით განმარტავს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ უახლეს ინფორმაციას; • ჩამოთვლის და განმარტავს მედიის კვლევის მეთოდებსა და პროცედურებს.
ბ) უნარები	• მოიძიებს და შეარჩევს ახალ ინფორმაციას; • ამუშავებს აქტუალურ თემებს და ამოწმებს წყაროების სანდოობას; • ეთიკური სტანდარტებისა და ენობრივ–სტილისტური ნორმების დაცვით ქმნის სხვადასხვა სახის მედიაპროდუქტს და/ან ასრულებს კონკრეტულ კვლევით

	დავალებას; • არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს პროცესებსა და მოვლენებს; • ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს; • ავლენს ზეპირ, წერილობით და სხვა სახის კომუნიკაციის უნარებს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• პროფესიული საქმიანობისას ხელმძღვანელობს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებითა და დარგობრივი სტანდარტით; • შესაბამისი დარგობრივი, პრაქტიკული და კვლევითი ნაშრომების მომზადებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი); დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფური მუშაობის მეთოდი; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლების მეთოდები.
შეფასების სისტემა[2]	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. **შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა)** (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

[2]პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

	გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **დ)** (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ე)** (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:** **ვ)** (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; **ზ)** (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.* შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ფორმები და ქულები** *(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის[3] მიხედვით):* **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით** (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი

[3] საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი https://bit.ly/2WhKPsQ

	მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. **საბაკალავრო ნაშრომს აფასებს:** ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის), მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. • **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა** • **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა** • **ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - 40 ქულა** **ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **შეფასების კრიტერიუმები:** ხელმძღვანელის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური ქულა - 10. ***ა) შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა:*** • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ***ბ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:*** • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40,

	მინიმალური ქულა - 20. *ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:* • პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი *გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* • ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; • დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. ნაშრომის პრეზენტაცია (ზეპირი წარდგენა) - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება კომისიის წევრების მიერ საჯარო დაცვის დროს. *ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:* • საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; • ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; • კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი. *ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;* *გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;* *დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:* • საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე • ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა. **შენიშვნა:** საბაკალავრო ნაშრომების შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც საჯარო დაცვის ფორმით, ისე საჯარო დაცვის გარეშე. კომისიის შემადგენლობა

	(არანაკლები 3 წევრისაგან) მტკიცდება დეკანის ბრძანებით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის/დაცვის გარეშე შეფასების გრაფიკს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.
დასაქმების სფეროები	• მედიაორგანიზაციები; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები; • არასამთავრობო ორგანიზაციები; • საერთაშორისო ორგანიზაციები; • კვლევითი ცენტრები; • საჯარო სექტორი; • კერძო სექტორი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. **გარდა ამისა, პროგრამაში ჩართულია ფაკულტეტის 18 აკადემიური და 24 მოწვეული პერსონალი.** **ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების აკადემიური პერსონალი:** ✓ მანანა შამილიშვილი - პროფესორი; ✓ მაია ტორაძე - ასოცირებული პროფესორი; ✓ ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი; ✓ ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი; ✓ ნათია კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი; ✓ მარი წერეთელი - ასოცირებული პროფესორი; ✓ თამაზ ჯოლოგუა - ასოცირებული პროფესორი; ✓ ნანული ტალახაძე - ასოცირებული პროფესორი;

	✓ რევაზ ჭიჭინაძე - ასოცირებული პროფესორი; ✓ ხათუნა კაჭარავა - ასოცირებული პროფესორი; ✓ მარინე ლომიძე - ასისტენტ-პროფესორი; ✓ თეა მჟავანაძე - ასისტენტ-პროფესორი. ✓ თამარ ბელქანია - ასისტენტ-პროფესორი; ✓ ნათია სვანიძე - ასისტენტ-პროფესორი. **საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:** ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს: ბიბლიოთეკა 2000-ზე მეტი წიგნით; სააუდიტორიო და დარგობრივ-სასემინარო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, 103 კომპიუტერი, ლაბორატორიები; ქსეროქსის მანქანა, პრინტერები, ტელე და რადიო სტუდიები, „ნიუსრუმი“ და მულტიმედია ცენტრი. თავის მხრივ, მულტიმედია ცენტრი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, რაც საჭიროა პრაქტიკული მეცადინეობებისთვის. კერძოდ, მულტიმედიის ტექნიკური რესურსია: ერთი სატელევიზიო სტუდია, ორი რადიოსტუდია. სატელევიზიო სტუდია აღჭურვილია სამი მაღალი დეფინიციის ვიდეოკამერით და შტატივით, შესაბამისი განათების მოწყობილობებით (3 საერთო განათება ე.წ. „ სოფტბოქსი“, 2 კონტრგანათება და 3 მიმართული განათების ხელსაწყო), ოთხი რადიომიკროფონით და სააპარატოთი, საიდანაც ხორციელდება სტუდიური გადაცემების ჩაწერა. სააპარატოში შედის ვიდეო მიქშერი, აუდიო მიქშერი, დინამიკები, სატელევიზიო მონიტორები და ვიდეომაგნიტოფონი ჩაწერის განსახორციელებლად. გარდა ამისა, სტუდიას აქვს კიდევ სამი ვიდეოკამერის სრული კომპლექტაცია (რადიომიკროფონებით, საკამერო განათებით და შტატივებით). ასევე, რადიოსტუდიები აღჭურვილია ორი მოკროფონით, აუდიო მიქშერით, დინამიკებით, CD და MD პლეიერით და რეკორდერით, შესაბამისი კომპიუტერით, რაც საშუალებას იძლევა აუდიო პოსტპროდუქციის შესაქმნელად.

	ნიუსრუმს აქვს შვიდი კომპიუტერი, სადაც ხდება რადიო თუ ტელე გადაცემების წინასწარი მომზადება, აქვე ხორციელდება რადიოსიუჟეტების მონტაჟიც. გარდა ამისა, ცენტრის მფლობელობაშია ოთხი ფოტოაპარატი და თორმეტი დიქტოფონი რადიოსიეჟეტების მოსამზადებლად, ასევე რამდენიმე პერსონალური კომპიუტერი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს რეინვენტარიზაცია, რომლის დასრულების შემდეგ ცენტრის ტექნიკური ბაზა სრულად განახლდება. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მულტიმედიაცენტრის განახლებული ინფრასტრუქტურის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლი იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3CsTN6a ასევე: ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ✓ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ✓ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University

	Journals, JStor, Scopus დასხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას აღნიშნულ პროგრამაში დიდი ყურადღება ექცევა . • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე ბაკალავრი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე

	http://e-learning.tsu.ge/ .
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, „ჟურნალისტიკა“, ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს საშუალოდ 100 სტუდენტი. სასწავლო პროცესში, პრაქტიკული საგნების ფარგლებში, სტუდენტები ამზადებენ ტელე, რადიო და ბეჭდურ პროდუქციას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივ-სამეცნიერო პროექტებსა და სტუდენტურ კონფერენციებში, აქვეყნებენ სტატიებს საფაკულტეტო სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემებში. ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს დამატებით (minor) პროგრამას (იხ. დანართი №1).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ჟურნალისტიკა

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), პროფესორი

მაია ტორაძე, ფილოლოგიის დოქტორი (ჟურნალისტიკა), ასოცირებული პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 21/09/2021; № 85/2021 (დანართი № 34)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №22276; 24/12/2021- 01/07/2028
https://eqe.ge/ka/deqars/436/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2021-2022

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; №61/2022 - 26/07/2022; №95/2022 -07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024; №62/2024 – 29/04/2024; №113/2024 – 09/09/2024.

[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS) მათ შორის:												
საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სულ	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				ლექცია	სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკუმი	გამოცდები				შემოდგომა	გაზაფხული	

1		სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	125	არჩევა მე-2 სემესტრიდან	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია დავით სიჭინავა მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2		ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3		აკადემიური წერა	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	რევაზ ჯორბენაძე თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე თეონა თაბუაშვილი
4		ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - მინიმუმ 10 კრედიტი (ECTS)												
1		გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა ზურა გამთენაძე
2		კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში

3		ლოგიკა	5	30	0	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მოწვეული ლექტორი
4		ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კოსტანტინე შუბითიძე
5		მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
6		ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი გიორგი გრიგოლაშვილი
7		საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან მელიქიძე
8		მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	ჯაბა უროტაძე
9		გამოყენებითი გეოინფორმაციული სისტემები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ვლადიმერ ჩხაიძე დავით სვანაძე
10		საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓	რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
11		სტატისტიკა	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფაკულტეტო არჩევითი შესავალი სასწავლო კურსები - მინიმუმ 15 კრედიტი (ECTS) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)												
1		სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნათელა ფარცხალაძე გიორგი წოწკოლაური ზურაბ ტატანაშვილი მაგული შაღაშვილი სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ დოლბაია იოსებ სალუქვაძე გიორგი კვინიკაძე
3		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ვლადიმერ ნაფეტვარიძე სანდრო ტაბატაძე
4		სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი
5		საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე გვანცა აბდალაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 ECTS												
1.		ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
2.		ქართული ენა 1 - ჟუნალისტებისთვის	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		თეა ბურჭულაძე
3.		ქართული ენა 2 - ჟურნალისტებისთვის	5	15	30	5	75	125	ქართული ენა 1- ჟურნალისტებისთვის		✓	თეა ბურჭულაძე
4.		ახალი ამბების ჟურნალისტიკა	5	30	30	5	60	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓	✓	ნანული ტალახაძე ნინო ჭალაგანიძე თამარ ბელქანია მარინა ვაშაყმაძე მერი ტორაძე თინათინ მაჭარაშვილი შოთა ფალავანდიშვილი
5.		ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარი წერეთელი ნანული ტალახაძე
6.		ბეჭდური მედია	5	30	30	5	60	125	ანალიზისა და მოსაზრების წერა	✓	✓	მაია ტორაძე ლიანა მარქარიანი
7.		რადიომედია	5	30	30	5	60	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	ნანული ტალახაძე თეა მჟავანაძე
8.		ტელემედია	5	30	30	4	61	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	ნინო ჭალაგანიძე თამარ ბელქანია რევაზ ჭიჭინაძე მერაბ მეტრეველი
9.		ონლაინმედია	5	15	30	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	ნათია კუპრაშვილი თეა მჟავანაძე
10.		ანალიზისა და მოსაზრების წერა	5	30	30	5	60	125	ახალი ამბების	✓	✓	მარი წერეთელი

									ჟურნალისტიკა			მაია ტორაძე თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
11.		ტელემედია - პრაქტიკუმი	5	30	30	5	60	125	ტელემედია	✓	✓	თამარ ბელქანია რევაზ ჭიჭინაძე ნინო ჭალაგანიძე მერაბ მეტრეველი ხათუნა კაჭარავა ავთანდილ საბიაშვილი თამარ ფხაკაძე
12.		მედიის კვლევის მეთოდები და დიზაინი	5	30	15	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	მარიამ გერსამია მაია ტორაძე
13.		საბაკალავრო ნაშრომი	10	30			220	250	მინიმუმ 230 კრედიტი (მათ შორის, პროგრამის ყველა სავალდებულო საგანი)	✓	✓	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 55 კრედიტი (ECTS)												
ახალი ამბების გაშუქება												
14.		კონფლიქტების გაშუქება	5	15	30	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		ზაზა ცოტნიაშვილი
15.		ბავშვთა საკითხების გაშუქება	5	15	15	5	90	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		ნინო ჭალაგანიძე
16.		კულტურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქება მედიაში	5	15	15	5	90	125	ახლი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	გია ბუღაძე ხათუნა კაჭარავა
17.		პოლიტიკის საკითხების გაშუქება	5	15	15	4	91	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		რევაზ ჭიჭინაძე
18.		სოციალური საკითხების გაშუქება	5	15	15	2	93	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	მაგდა მემანიშვილი
19.		სამხედრო საკითხებისა და საგანგებო სიტუაციების გაშუქება	5	15	15	4	91	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		დავით ძიძიშვილი

20.		კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქება	5	15	30	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		დავით ქაშიაშვილი
21.		აგროსაკითხების გაშუქება	5	15	15	5	90	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	ნანული ტალახაძე
22.		სპორტული ჟურნალისტიკა	5	15	15	4	91	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	ნიკოლოზ ტაბატაძე
23.		არჩევნების გაშუქება	5	15	15	7	88	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓	✓	ირაკლი იადონიძე
ჟურნალისტიკის პრაქტიკუმი და სტაჟირება												
24.		რადიომედია (პრაქტიკუმი)	5	15	15	5	90	125	რადიომედია		✓	ეკატერინე ტალახაძე
25.		რადიომედიის სტაჟირების კრედიტ-კურსი	4	10	10	4	76	100	რადიომედია (პრაქტიკუმი), შიდა შერჩევა - კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე		✓	ნანა მამაგულიშვილი
26.		ტელემედიის სტაჟირების კრედიტკურსი	5	15	15	5	90	125	ტელემედია (პრაქტიკუმი) შიდა შერჩევა - კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე		✓	ხათუნა კაჭარავა
27.		ბეჭდური მედიის სტაჟირების კრედიტ-კურსი	5	-	30	5	90	125	ბეჭდური მედია (პრაქტიკუმი), შიდა შერჩევა - კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე		✓	მაია ტორაძე
28.		სტრატეგიული წერა ჟურნალისტებისათვის	5	30	30	5	60	125	ანალიზისა და მოსაზრების წერა		✓	მარი წერეთელი
29.		ბეჭდური მედია (პრაქტიკუმი)	5	30	15	5	75	125	ბეჭდური მედია		✓	მაია ტორაძე ლიანა მარქარიანი
30.		თანამედროვე	5	15	15	5	90	125	ჟურნალისტიკისა და		✓	ნათია რაჭველიშვილი

		ტელედოკუმენტალისტიკა (პრაქტიკუმი)							მასობრივი კომუნიკაციის შესავალი; ტელემედია;			
31.		სატელევიზიო პროექტის მომზადების ეტაპები (პრეპროდუქცია) - ტელედოკუმენტალისტიკა პრაქტიკუმისთვის	5	15	15	5	90	125	თანამედროვე ტელედოკუმენტალისტიკა (პრაქტიკუმი);	✓		ნათია რაჭველიშვილი
32.		მაუწყებლობის პროგრამირება	5	15	30	5	75	125	რადიომედია; ტელემედია		✓	ელდარ იბერი
33.		მეტყველების ტექნიკა 1	5	30	30	5	60	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓		იური ფოფხაძე
34.		მეტყველების ტექნიკა 2	5	15	30	5	75	125	მეტყველების ტექნიკა 1		✓	იური ფოფხაძე
35.		დარგობრივი ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1	5	-	45	5	75	125	ინგლისური ენა 2	✓		ვალერია ფურცელაძე
36.		დარგობრივი ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 2	5	-	45	5	75	125	დარგობრივი ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1		✓	ვალერია ფურცელაძე
მედიის ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე მედიასტანდარტები												
37.		ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (ტელე-რადიო)	5	15	30	5	75	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი;		✓	ელდარ იბერი
38.		ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა	5	15	15	5	90	125	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)		✓	ნანული ტალახაძე
39.		საარქივო დოკუმენტაციაზე მუშაობა	5	15	15	5	90	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓	✓	თამარ ბელქანია
40.		მედიაეთიკა და თვითრეგულირება	5	15	30	4	76	125	ჟურნალისტიკისა და	✓		ნათია კუპრაშვილი

									მასობრივი კომუნიკაციის შესავალი			
41.		მედიასამართლის ძირითადი პრინციები	5	15	15	6	89	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი		✓	მამუკა ანდღულაძე
42.		ლოკალური მედია და ადგილობრივი ხელისუფლების მედიამონიტორინგი	5	15	30	5	75	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი		✓	ნათია კუპრაშვილი ნათია სვანიძე
მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, მასობრივი კომუნიკაცია												
43.		კონვერგირებული ნიუსრუმი-მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის	5	15	30	5	75	125	ონლაინმედია		✓	ნათია კუპრაშვილი რევაზ ჭიჭინაძე თეა მჟავანაძე
44.		აუდიო-ვიზუალური ხელოვნება	5	15	15	4	91	125	ტელემედია (პრაქტიკუმი)	✓		დავით ძიძიშვილი
45.		მობილური ჟურნალისტიკა და აპლიკაციები	5	15	30	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	მაია ტორაძე ლიანა მარქარიანი
46.		მასობრივი კომუნიკაციის სისტემა	5	15	30	5	75	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓		ელდარ იბერი
47.		ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლები და პრაქტიკუმი	5	30	30	4	61	125	წინაპირობის გარეშე	✓		ნათელა გრიგალაშვილი
48.		მედია და პოლიტიკური კომუნიკაციები	5	15	15	5	90	125	ჟურნალისტიკისა და მასობრიცი კომუნიკაციის შესავალი	✓		მანანა შამილიშვილი

49.		ტელე და კინოდოკუმენტალისტიკა	5	15	15	5	90	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი; ტელემედია	✓		ქეთევან პატარაია
50.		კულტურული მიმდინარეობები და მედიატექსტები	5	15	30	5	75	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი		✓	მანანა შამილიშვილი ადა ნემსაძე
51.		საზღვარგარეთის მედია	5	15	30	5	75	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓		ეკა ბასილაია
52.		ჟურნალისტური გამოძიება	5	15	30	3	77	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	✓		მაგდა მემანიშვილი
53.		ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	მარინა ლომიძე ხათუნა ჩარკვიანი
54.		საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარინა ლომიძე
55.		საზოგადოებასთან ურთიერთობა და ამბის თხრობა	5	15	15	5	90	125	ანალიზისა და მოსაზრების წერა	✓		დავით გორგილაძე
56.		სოციალური დაცვის პოლიტიკა და ისტორია (პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯაბა ურუტაძე
57.		ჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ელდარ იბერი
58.		XX საუკუნის დიადი წიგნები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	მარიამ ტორაძე
59.		ვიზუალური თხრობა სოციალური მედიისთვის	5	15	30	5	75	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	✓		ლიანა მარქარიანი
60.		კინო მასობრივი კომუნიკაციის	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ქეთევან პატარაია

		სისტემაში										
61.		წერითი კომუნიკაცია - პრაქტიკული ლაბორატორია	5	15	45	5	60	125	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი		✓	მაია ტორაძე ლიანა მარქარიანი
62.		კონსტრუქციული ჟურნალისტიკა	5	15	15	5	90	125	ახალი ამბების ჟურნალისტიკა		✓	თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
63.		პოდკასტინგი - ციფრული თხრობა	5	15	30	5	75	125	რადიომედია; რადიომედია (პრაქტიკუმი)		✓	ნათია სვანიძე
64.		სპორტული ჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი	5	15	15	5	90	125	სპორტული ჟურნალიტიკა		✓	ნიკოლოზ ტაბატაძე
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS												

დანართი №1

ჟურნალისტიკის საბაკალავრო დამატებითი[5] (minor) პროგრამის სტრუქტურა

დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი (ECTS) სავალდებულო - 30 კრედიტი				
№	**საგნის დასახელება**	**საგნის სტატუსი**	**კრედიტების**	**კრედიტების რაოდენობა**

[5] შენიშვნა: ჟურნალისტიკის საბაკალავრო დამატებითი (minor) პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ გავლილი ყოველი სასწავლო კურსის აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი (81 და ზევით) და „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალში“ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლი (91 და ზევით).

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

			საერთო რ-ბა	სემესტრები							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VII
1	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	სავალდებულო	5								
2	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	სავალდებულო	5								
3	ბეჭდური მედია	სავალდებულო	5								
4	ონლაინმედია	სავალდებულო	5								
5	რადიომედია	სავალდებულო	5								
6	ტელემედია	სავალდებულო	5								
7	**არჩევითი - 20 კრედიტი** (სასწავლო კურსები ჟურნალისტიკის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან)		20								
8	**თავისუფალი კრედიტი**[6] (სასწავლო კურსები ჟურნალისტიკის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან)		10								
9	**სავალდებულო**		30								
10	**არჩევითი**		20								
11	**თავისუფალი**		10								
12	**სულ**		60								

პროგრამის ხელმძღვანელის (ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

[6] არჩევა ნებისმიერ დროს IV სემესტრიდან

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი